

შენი დროის დახვეწა და დაგეგმვა

მოგესალმები!

მე ემსი ვარ და გახსოვდეს, რომ მზად ვარ შენს ნებისმიერ მოთხოვნასა თუ საჭიროებას მოვერგო, ბოლომდე შენთან ერთად ვიყო და, გთხოვ, ნურც ის გაგიკვირდება, თუ მიხვდები, რომ შენთან დამეგობრებას ვცდილობ. მეგობრობა სირთულეების მარტივად გადალახვაში დაგვეხმარება, ჩემთან წინასაგამოცდო ან სწავლის პროცესის პრობლემებზე საუბარს გაგიადვილებს...

ამ კრებულში წარმოდგენილია ის საინტერესო ფაქტები, რისი გაანალიზებაც ამ ეტაპამდე შევძელი და ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა დაგეხმაროს. ჩემი რჩევაა, ამ კრებულშივე გააკეთო საჭირო ჩანაწერები თუ შენიშვნები. აუცილებლად თან წაილე გამოცდაზე გასვლის წინ: გზაში გადაიკითხავ და ძლიერ დაგეხმარება...

მადლობა ნდობისთვის!

შენი ემსი...



❖ ჩვენი სერვისები

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად გაგიმარტივოთ სასურველი მიზნის მიღწევა, შეგიქმნათ სხვადასხვა ინოვაციური და საინტერესო სერვისი.

→ რა სიახლეები გვაქვს ივლისში?

ტრანსპორტირება საგამოცდო ცენტრში

ნებისმიერ დღეს გამოცდისკენ გამგზავრების ღირებულება მსუბუქი ავტომობილით შეადგენს 25 ლარს.

კომფორტული პაკეტის მფლობელებისათვის ღირებულება 15 ლარია.

მძღოლობას გაგიწევთ გამოცდილი მასწავლებელი, მისტერ სოფრომი!



❖ გამოცდის წინ - რა უნდა ვიცოდეთ?

თბილისთან უახლოესი საგამოცდო ცენტრი მდებარეობს რუსთავის გზატკეცილზე, სამუშაო საათები კი ასეთია:

- ორშაბათი-პარასკევი: 09:30 - 17:00
- შაბათი: 09:30 - 16:00
- კვირა: დასვენება

→ რა ღირს?

თეორიული გამოცდის ღირებულებას იხდით წინასწარ - რამეთუ საჭიროა გამოცდაზე წინასწარი ონლაინ რეგისტრაციის გავლა საიტდან: sa.gov.ge / E-სერვისები / მართვის მოწმობის გამოცდის ჯავშანი

- თეორიული გამოცდის ღირებულება - 56 ლარს შეადგენს.
- ფასდაკლებას იღებენ არასრულწლოვნები და სტუდენტები - ისინი 16 ლარს იხდიან.

სტუდენტური ფასდაკლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ID ბარათით (პირადობა) - ზედ სტუდენტის სტატუსით. გაითვალისწინეთ, რომ სტუდენტური ცნობა, სტუდენტობა - არ გამოდგება.

თეორიული გამოცდის ჩაბარების დღიდან - გეძლევათ 30 დღე იმისათვის, რათა ჩააბაროთ პრაქტიკული გამოცდაც. პრაქტიკის გამოცდის საფასურზე ოდნავ ქვევით მოგიტხოვრებთ... ☆

→ რა უნდა ვიქონიო თან?

- SMS შეტყობინება ჯავშნის შესახებ
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (იგივე "ფსიქო", იგივე ფორმა IV 100/ა)
- პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

არასრულწლოვანმა დამატებით უნდა იქონიოს:

- დაბადების მოწმობის დედანი (ან ასლი ნოტარიულად დამოწმებული);
- მშობელი (ან მშობლის თანხმობა ნოტარიულად დამოწმებული);
- საჯარო სკოლის მოწმობა ან ავტოსკოლის მოწმობა;

საჯარო სკოლის მოწმობა გაიცემა მოთხოვნიდან მყისიერად თავად სკოლის მიერ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ წარმატებით დახურა მე-11 კლასი და გაიარა საგანი საგზაო მოძრაობის შესახებ.

ავტოსკოლის მოწმობა გაიცემა მოთხოვნიდან 20-დღის ვადაში. მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს მოსწავლის მიერ. მოწმობის საფასური 12 ლარს შეადგენს.

→ თუ ვერ ჩავაბარე?

ზოგადად, ეს ფრაზა დაივიწყეთ! ამის შესახებ არაფერს მოგიყვებით..

კარგით, 2 სიტყვით: თეორიაზე ჩაჭრის შემთხვევაში, განმეორებით გამოცდაზე დაიშვებით 7 დღის შემდეგ, საფასურის თავიდან გადახდის შემთხვევაში.

აგრეთვე - შენი ავტოსკოლის გარანტია 90-დღის განმავლობაში გრძელდება და თეორიული კურსის გამეორება სრულიად უფასოდ შეგეძლება, თან არაერთხელ - მითითებულ ვადაში ულიმიტოდ.



→ **პრაქტიკული გამოცდა**

თეორიული გამოცდის ჩაბარების დღიდან გაქვთ 30 დღე იმისათვის, რათა გადალახოთ პრაქტიკული ბარიერიც.

მექანიკა -

მექანიკის გამოცდის შემთხვევაში თქვენ გაქვთ 5 უფასო ცდის უფლება, ოღონდ მისი გამოყენება მხოლოდ 7-დღეში ერთხელ შეგიძლიათ. აგრეთვე დამატებით გაქვთ 26 ფასიანი ცდის უფლებაც - ყოველდღიურად, დღეში ერთხელ. თითო ფასიანი ცდის ღირებულება 30 ლარია.

➤ მაგალითი:

ელენემ შაბათს ჩააბარა თეორიული გამოცდა და იმავე დღეს გადის პრაქტიკის 1-ლ უფასო ცდაზე. თუ ელენე ვერ ჩააბარებს პირველივე მცდელობით პრაქტიკას, მას იმ დღესვე მიეცემა კიდევ 1 მცდელობის უფლება - ოღონდ ფასიანის.

შემდეგი უფასო ცდის უფლება მას ზუსტად 7 დღის შემდეგ - კვლავ შაბათს ექნება. აგრეთვე - ყოველ სამუშაო დღეს მიეცემა ფასიანი ცდის უფლება. ასე იქნება 30 დღის განმავლობაში...

ეს ისე, ცნობისთვის, თორემ - ღმერთმა დაგვიფაროს ამდენი წვალუბისგან.. ☆

| | შაბ. | კვ. | ორშ. | სამშ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. |
|---------|------|-----|------|-------|------|------|------|------|
| უფასო | ✓ | | | | | | | ✓ |
| ფასიანი | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |

ავტომატიკა -

ავტომატიკის გამოცდის ღირებულება 40 ლარს შეადგენს და ამ ტარიფით სარგებლობა შეგიძლიათ მაქსიმუმ 5-ჯერ და ისიც 7-დღეში ერთხელ. აგრეთვე დამატებით გაქვთ 26 ცდის უფლებაც - ყოველდღიურად, დღეში ერთხელ, რომლის ღირებულებაც 70 ლარია.

➤ მაგალითი:

ლუკამ შაბათს ჩააბარა თეორიული გამოცდა და იმავე დღეს გადის პრაქტიკის 1-ლ 40-ლარიან ცდაზე. თუ ლუკა ვერ ჩააბარებს პირველივე მცდელობით პრაქტიკას, მას იმ დღესვე მიეცემა კიდევ 1 მცდელობის უფლება - ოღონდ მოუწევს 70 ლარის გადახდა.

შემდეგი 40-ლარიანი ცდის უფლება მას ზუსტად 7 დღის შემდეგ - კვლავ შაბათს ექნება. აგრეთვე - ყოველ სამუშაო დღეს მიეცემა 70-ლარიანი ცდის უფლება. ასე იქნება 30 დღის განმავლობაში...

ვიმეორებ: ეს ისე, ცნობისთვის, თორემ - ღმერთმა დაგვიფაროს ამდენი წვალუბისგან.. ☆

| | შაბ. | კვ. | ორშ. | სამშ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. |
|---------|------|-----|------|-------|------|------|------|------|
| 40 ლარი | ✓ | | | | | | | ✓ |
| 70 ლარი | ✓ | | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |



❖ მაფრთხილებელი ნიშნები (1)

მაფრთხილებელი არის ნიშანი, რომელსაც აქვს **სამკუთხედის** ფორმა, წვერი მიმართული აქვს **ზევით** და გარშემო **წითელი კანტი** გასდევს.

B კატეგორიის თეორიის საკითხებში, გვაქვს **6** მაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც დაუსახლებელ პუნქტში (ვიმეორებთ: მხოლოდ დაუსახლებელში!) მეორდება, ანუ, ჯამში იდგმება ორჯერ: პირველად, 150-300 მეტრში, ხოლო განმეორებით - 50 მეტრში.

ეს 6 ნიშანია:




ყველა მაფრთხილებელი ნიშანი იდგმება საფრთხემდე წინასწარ:

დაუსახლებელში - 150-300 მეტრში

დასახლებულში - 50-100 მეტრში

განმეორებით - 50 მეტრში (**მხოლოდ** ზე-ხსენებული 6 ნიშანი და მხოლოდ დაუსახლებელში :))

❖ პრიორიტეტის ნიშნები

| შემხვედრი | გადამკვეთი (გადასაკვეთ გზაზე მოძრავი) | თანმხვედრი |
|---|--|---|
|  |  |  |




❖ დამხმარე ტესტი

1. ჩამოთვლილიდან, რომელ გზაზე უნდა მოძრაობდეს მძღოლი, რომ მას წარმოექმნას **გზის დათმობის ვალდებულება**?

- a) მთავარ გზაზე
- b) მეორეხარისხოვანზე

2. მოცემული საგზაო ნიშნებიდან რომელი აღნიშნავს მეორეხარისხოვან გზასთან გადაკვეთას, რომელზე მოძრავ მძღოლსაც უპირობოდ წარმოექმნება დათმობის ვალდებულება?




3. ნიშანი **მეორეხარისხოვან გზასთან გადაკვეთა** ერთდორულად გვანვდის თუ არა შემდეგ ორ ინფორმაციას: მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთასთან მიახლოებას, რომელზე მოძრავი მძღოლიც ვალდებულია დაგვიტომოს გზა; რომ ჩვენ ვმოძრაობთ მთავარ გზაზე და გვენიჭება გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა?

- a) დიახ
- b) არა

4. ქვემოთ მოცემულია ის ნიშნები, რომელიც გვატყობინებს, რომ მთავარ გზაზე ვართ და გარკვეული მანძილის შემდეგ შემოგვიერთდება მეორეხარისხოვანი გზა. როგორ ფიქრობთ, განსხვავებული ნახატის მიუხედავად, იცვლება თუ არა ნიშნის ძირითადი შინაარსი და დანიშნულება?




- a) დიახ
- b) არა




❖ ამკრძალავი ნიშნები (5)

გრაფაში მოცემულია ნიშნები, რომლის მოქმედებაც არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც ცხოვრობს, მუშაობს ან ემსახურება რაიმე საწარმოს აღნიშნულ ზონაში



გრაფაში მოცემულია ნიშნები, რომლის მოქმედებაც არ ვრცელდება სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებზე



გრაფაში მოცემულია ნიშნები, რომლის მოქმედებაც არ ვრცელდება შუშპირებზე



სხვადასხვა ინფორმაცია:

მექანიკურია ტრანსპორტი, რომელიც გადაადგილდება ძრავის საშუალებით, იქოქება და იყენებს სანვავს (მსუბუქი ავტომობილი, სატვირთო ავტომობილი, მოტოციკლი, ტრაქტორი..).


მექანიკური ტრანსპორტი არ არის, მაგალითად ველოსიპედი, საჭაპანე ოთხთვალა (ფაეტონი, ეტლი), ტრამვაი, მეტრო, ტროლეიბუსი (ელექტრო ტრანსპორტები), მოპედი და სხვა მსგავსი საშუალებები.

მოპედი, რომელიც, ერთი შეხედვით, - ძალიან ჰგავს მოტოციკლს (ორბორბლიანია), სინამდვილეში გათანაბრებულია ველოსიპედთან, რადგან მისი ძრავის მოცულობა ძალიან მცირეა და არ სცილდება 0,3 კუბატურას.


მოპედი - მიუხედავად იმისა, რომ ძრავიანი საშუალებაა - გამონაკლისის სახით (ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო), **არ უნდა მივიჩნიოთ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებად.**

მოპედის მაქსიმალური სიჩქარე - **45 კმ/სთ-ია**. მისი მართვა შესაძლებელია 16 წლის ასაკიდან ყოველგვარი მართვის მოწმობის გარეშე.


გრაფაში მოცემული საგზაო ნიშნები **არ მოქმედებენ** გზაჯვარედინამდე, არც დასახლებული პუნქტის ბოლომდე, არც იქამდე... არც... არც....



მოძრაობის 5-წუთამდე შეწყვეტას **გაჩერება** ეწია, ხოლო 5-წუთზე მეტი ხნით შეწყვეტას - **დგომა**.



❖ დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (9)

| მოქმედების ზონა / სიგრძე | მანძილი ობიექტამდე |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> • 3-ციფრიანი 2 ისრით • 2 ციფრიანი 1 ისრით <div style="border: 1px solid black; padding: 5px; margin: 10px 0; text-align: center;"> მაგალითები </div> <div style="margin: 5px 0;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; text-align: center;"> ↑ 1008 ↑ </div> </div> <div style="margin: 5px 0;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; text-align: center;"> 208 → </div> </div> <div style="margin: 5px 0;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; text-align: center;"> ← 308 </div> </div> <div style="margin: 5px 0;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; display: inline-block; text-align: center;"> 308 ↑ </div> </div> | <p style="text-align: center;">ნებისმიერი ციფრი "მოქმედების ზონის" გარდა</p> <div style="text-align: center; margin-top: 100px;">  </div> |



❖ მძლოლი, მგზავრი და ქვეითი. (ნიშნები, კონვენცია) (3)

| B-კატეგორია | |
|---------------------------|------------------------------|
| მაქსიმალური მასა | 3500 კგ. |
| მგზავრები (მძლოლის გარდა) | 8 |
| მისაბმელი (მსუბუქი) | 750 კგ. |
| საჩუქრად გადმოგეცემათ | B1 (კვადროციკლი ან ტრიციკლი) |
| თვლიანი ტრაქტორი | 4250 კგ. |

| მასა | | |
|---|------------------|---|
| ქარხანა-დამამზადებლის მიერ წარმოდგენილი და დანუსებული | დაუტვირთავი მასა | ცარიელი მანქანის მასა, სანავის სავსე მარაგით და ხელსაწყოების სრული კომპლექტით |
| | სრული მასა | რამდენი შეიძლება გახდეს მანქანა ტვირთით, მგზავრებით...(მაქსიმალური მასის ზღვარი) |
| დატვირთული მასა | | მოცემულ დროის მონაკვეთში მანქანის მასა (სასწორზე რო დადოთ, ყველაფრის ჩათვლით) |



❖ სიგნალები (ნანილი I) (14)

| როგორ გამოვიყენო ხმოვანი სიგნალი? | | | | |
|--|----------------------------------|-------------------------------|----------------|--|
| | გასწრების წინ გასაფრთხილებლად | ავარიის დროს, გადასარჩენად | სხვა მიზნით | Attention! გაითვალისწინეთ, ხმოვანი სიგნალი არ უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ეს აუცილებელია! |
|  დასახლებულში | X | ✓ | X | |
|  დაუსახლებელში | ✓ | ✓ | X | |

აღბათ, დაინტერესდებოდით, თუ ხმოვანი სიგნალით არა, მაშ როგორ ვანიშნო სხვა ავტომობილს დასახლებულში გასწრების დაწყების წინ? როგორ გავაფრთხილო ის?

ამას ფარებით ვაკეთებთ, თუმცა აღნიშნულ კითხვაზე პასუხს მაინც 2 ვარიანტი აქვს თუ დღეა, თუ ღამეა...

1. დღისით ბუნებრივია, არცერთ ავტომობილს არ აქვს ჩართული წინა განათების ფარები (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). შესაბამისად, სრულებით საკმარისია უბრალოდ ფარების ჩართვა-გამორთვა, რათა თქვენ წინ მიმავალმა მძღოლმა შეგამჩნიოთ და ჩანაფიქრს მიგიხვდეთ...

2. ღამით ყველას გვინთია წინა ფარები, უფრო მუსტები რომ ვიყოთ: ახლო განათების ფარები. ამიტომ, განსხვავების შესაქმნელად ახლო განათების - შორ განათებაზე მრავალჯერადი გადართვა მოგიწევს!

მოხვევის შუქ-მაჩვენებელი (კარგი, ჰო! : "პავაროტნიკი")

1. გაითვალისწინეთ! ირთვება აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში. თუ მოგივიდათ შეკითხვა: ვალდებულია თუ არა მძღოლი აღნიშნულ "ჭ" სიტუაციაში ჩართოს მოხვევის შუქ-მაჩვენებელი, პასუხი ცალსახაა: დიააახხ! ვალდებულია 😊 გამონაკლისია მხოლოდ ერთი შემთხვევა, ისიც 1 ბილეთი გვხვდება ასეთი კითხვით: თუ სხვა შეგვყავს შეცდომაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ ვრთავთ მაჩვენებელს! მაგალითად, არსაით ვუხვევთ და ისე, უბრალოდ ჩაგვერთო...
2. მოხვევის მაჩვენებელს ვრთავთ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუმცა მოხვევის მაჩვენებლის ჩართვა სულაც არ ნიშნავს, რომ ახლა უკვე ბურთიც თქვენია და მოედანიც! მაჩვენებლის ჩართვა არც უსაფრთხოების აუცილებელი ზომებისგან გათავისუფლებთ და არც რაიმე სახის უპირატესობას განიჭებთ.
3. მაჩვენებელი უნდა ჩართოთ იქამდე, სანამ უშუალოდ მოხვევას დაინწყებდეთ: წინასწარ! ამით სხვა მძღოლებს მისცემთ მომზადებისა და პროგნოზირების საშუალებას, შესაბამისად, ისინი მზაობაში შეხვდებიან თქვენს მანევრს: დაგიტოებენ გზას ან პირიქით! მაჩვენებელი უნდა გამოირთოს მოხვევის დასრულებისთანავე. უმეტეს შემთხვევაში, თანამედროვე ავტომობილები აღნიშნულს თავად აკეთებენ: ავტომატურად თიშავენ მაჩვენებელს საჭის საპირისპირო მიმართულებით დატრიალებისას.
4. თუ მწყობრიდან გამოვიდა მაჩვენებელი, სხვა მძღოლების გასაფრთხილებლად უნდა გამოვიყენოთ თქვენივე ხელი: რას ვიზამთ...



❖ სიგნალები (ნანილი II)


თუ ვდგავართ რას ვრთავთ? რომელ ფარებს?

თუ განათებული ადგილია და ყველაფერი, მათ შორის, გაჩერებული მანქანაც კარგად ჩანს, ამ შემთხვევაში, არაფრის ჩართვა არ არის საჭირო!

თუ გაუნათებელი ადგილია ან არასაკმარისი ხილვადობაა, ესე იგი, აუცილებელია სხვა მძღოლის რაიმეთი გაფრთხილება, რომ ეს სივრცე დაკავებულია. აუცილებელია რაიმეს ჩართვა, რათა მან შეგვნიშნოს და მიიღოს შესაბამისი ზომები. შესაბამისად, ვრთავთ:

- წინა და უკანა საგაბარიტო სინათლეებს ან
- პარკირების ნათურებს (პარკირების ნათურები შედარებით თანამედროვე რამაა, ის მანქანის ცალ მხარეს ანათებს - წინ და უკან. იმ მხარეს, რომელიც სხვა მანქანების სავალი ნანილის მხარეს აღმოჩნდა)

პარკირების ნათურები



პარკირების ნათურების გამოსაყენებლად, მანქანის სიგრძე და სიგანე, შესაბამისად, არ უნდა აღემატებოდეს 6-ს და 2 მეტრს, ასევე, მანქანა უნდა იყოს მისაბმელის გარეშე.

ფარ-პროექტორი



აი, რასაც გვერდით სურათზე ხედავთ, ეს არის ფარ-პროექტორი. გინახავთ, ალბათ, ფილმები, სადაც ჭიპებზე და უცნაურ მანქანებზე უყენიათ, ტყეში დასდევენ რემბოს და ა.შ.

აღნიშნული პროექტორის გამოყენება **დასახლებულში**, რათქმაუნდა, აკრძალულია. აი, **დაუსახლებელში** კი - შეგიძლიათ მისი გამოყენება მხოლოდ დარწმუნდით, რომ საპირისპირო მიმართულებით არავინ მოდის!




❖ ბუქსირება (24)

ბუქსირებისას წინა მანქანა (რომელიც ახორციელებს გაფუჭებული მანქანის ბუქსირებას) **მობუქსირეა** (სურათზე '1')

ბუქსირებისას უკანა მანქანა (რომელიც გაფუჭებულია) - **საბუქსირეა** (სურათზე '2')

მობუქსირე საშუალებამ უნდა ჩართოს - **ახლო განათების ფარები**

საბუქსირე საშუალებამ - **საავარიო შუქ-სიგნალიზაცია**



არსებობს 3 ტიპის ბუქსირება:

1. მოქნილი
2. ხისტი
3. ნაწილობრივი დატვირთვით

მოქნილით ბუქსირებისას სავალდებულოა:

- თოკის სიგრძე იყოს **4-6** მეტრამდე
- გადაბმაზე დამაგრდეს **მინიმუმ 2 ალაში** (დროშა)

მოქნილით ბუქსირება იკრძალება, თუ:

- საჭე გაუმართავია
- მუხრუჭები გაუმართავია
- გზა მოყინულია
- მანქანას არ მართავს მძღოლი

ნაწილობრივი დატვირთვით ბუქსირებისას აკრძალულია ხალხის ყოფნა როგორც საბუქსირე ავტომობილის კაბინაში, ასევე მობუქსირე ავტომობილის ძარაზე.



ბუქსირება იკრძალება:

- 2-ბორბლიანი(მნიშვნელობა არა აქვს, მობუქსირება თუ საბუქსირო)
- 1-ზე მეტი სატრანსპორტო საშუალების ბუქსირება,
- მისაბმელიანი ტრანსპორტის ან/და **მისაბმელით ბუქსირება.**

ავტომაგისტრალზე ბუქსირებისას, სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალებამ უახლოესი მოსახვევიდან დატოვოს ავტომაგისტრალი (მნიშვნელობა არ აქვს, მას სურს აქ გადახვევა თუ არა).

❖ რკინიგზის გადასასვლელი (21)

რკინიგზის გადასასვლელი არის გზის და რკინიგზის ლიანდაგების ერთ დონეზე გადაკვეთა.

განგაშის სიგნალი - 1-გრძელი და 3-ხანმოკლე ხმოვანი სიგნალის გამოყენება

რკინიგზასთან თუ გვინვესტაჩერება*:

- სდექ ხაზი
- STOP ნიშანი
- შუქნიშანი
- შლაგბაუმიდან 5-მეტრში

*-დალაგებულია **იერარქიულად**, ანუ, თუ არის სდექ ხაზი, ვჩერდებით სდექ ხაზთან, თუ არადა ვეძებთ STOP ნიშანს. თუ რკინიგზის გადასასვლელამდე არ გვაქვს არც სდექ ხაზი, არც STOP ნიშანი და შუქნიშანი, ვჩერდებით შლაგბაუმიდან 5-მეტრში.



❖ მოძრაობის სიჩქარე (17)

დასახლებული

მიუხედავად იმისა, რომ დასახლებულ პუნქტში (ქალაქში) გზებზე მოძრაობის სიჩქარე ისედაც მცირეა (60 კმ/სთ), მაინც არსებობს ისეთი 4 ტიპის ტრანსპორტი, რომელიც ამდენსაც კი ვერ ავითარებს. მათ ძალიან მცირე მაქსიმალური სიჩქარის ზღვარი აქვთ. ესენია:

თვითმგორავი - 20 კმ/სთ

ტრაქტორი - 40 კმ/სთ

მოპედი - 45 კმ/სთ



ბუქსირება - 50 კმ/სთ

სხვა ნებისმიერ ტრანსპორტს აქვს დასახლებულში 60 კმ/სთ-ით გადაადგილების უფლება.

გაითვალისწინეთ: საცხოვრებელ ზონაში (ეზოში) გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე 20 კმ/სთ-ია.

დაუსახლებელი

დაუსახლებელ პუნქტში გასვლისას და მოძრაობისას, ბუნებრივია, მოძრაობის სიჩქარის მაქსიმალური ზღვარი ყველა სატრანსპორტო საშუალებას ეზრდება. ყველა დიდ სხვაობას მსუბუქი ავტომობილის შემთხვევაში ვხვდებით. მას 110 კმ/სთ-ითაც კი შეუძლია გადაადგილება **ავტომაგისტრალზე**. მივყვეთ თანმიმდევრულად:

| | | |
|-----------------|-------------------------------------|--|
| 70 კმ/სთ | C - სატვირთო ავტომობილი |  80 კმ/სთ |
| | BE - მსუბუქი დიდი მისაბმელით | |
| 80 კმ/სთ | B1 - კვადროციკლი და ტრიციკლი | |
| | A - მოტოციკლი | |
| | სამარშრუტო | |
| | B პატარა მისაბმელით | |
| 90 კმ/სთ | B - მსუბუქი ავტომობილი |  110 კმ/სთ |



❖ სამუხრუჭე მანძილი, დისტანცია (18)

სამუხრუჭო მანძილი არის მანძილი, რომელსაც გადის სატრანსპორტო საშუალება მუხრუჭების ამოქმედებიდან სრულ გაჩერებამდე.

მსუბუქი ავტომობილის **სამუხრუჭე მანძილი მისაბმელით** მოძრაობისას **იზრდება**, რადგან ავტომობილის მთლიანმა მასამ მოიმატა, ხოლო მუხრუჭების ძალა - უცვლელი დარჩა. შესაბამისად, დამძიმებული მანქანა გაცილებით უფრო გვიან გაჩერდება.

ექსტრემალურ სიტუაციაში სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისას **სამუხრუჭე მანძილის შემცირება** მძღოლმა უნდა მოახდინოს თვლების ბლოკირების ზღვარზე **მრავალჯერადი მკვეთრი ზემოქმედებით** მუხრუჭის სატერფულზე.

მკვეთრი დამუხრუჭებით სატრანსპორტო საშუალების გაჩერება **დასაშვებია** მხოლოდ **საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით**.

ხანგრძლივმა დამუხრუჭებამ გამორთული გადაბმულობით შეიძლება გამოიწვიოს სამუხრუჭე სისტემის **გადახურება** და დამუხრუჭების **ეფექტურობის შემცირება**.

სიჩქარის გაზრდისას საბურავის გზასთან ჩაჭიდების ძალა **მცირდება**.

დაღმართზე მოძრაობისას დამუხრუჭების ეფექტური ხერხია **დამუხრუჭება ძრავით**.


ძრავით დამუხრუჭებისას - მძღოლი სიჩქარეს ამცირებს გადაცემათა კოლოფის მეშვეობით (მაგალითად, მე-5 სიჩქარიდან მე-4-ში, მე-4-დან მე-3-ში და ა.შ.).

რაც უფრო მკვეთრია დაღმართი, მით უფრო დაბალი უნდა იყოს გადაცემა.

თუ ავტომობილი აღჭურვილია **ABS**-ით, ასეთი ავტომობილი დამუხრუჭებისას უკეთ მართვადია.

მიყოლებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებათა შორის არსებული დისტანციის დასაფარად საჭირო დრო უნდა იყოს:

- დასახლებულში - არანაკლებ 2 წამისა
- დაუსახლებელში - არანაკლებ 3 წამისა
- დასახლებულში **მოყინულზე** - არანაკლებ 6 წამისა
- დაუსახლებელში **მოყინულზე** - არანაკლებ 9 წამისა



❖ გადაზიდვები, ხალხი, ტვირთი (26)

- ბავშვების გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ დღე-ღამის ნათელ დროს.
- ბავშვების ჯგუფების გადაყვანისას, გადაგყავს რიგში 2-2-ად.

ნიშანი „არაგაბარითული ტვირთი“ - ერთი წინ და ერთი უკან - მაგრდება შემთხვევაში, როცა მანქანიდან ტვირთი გადმოშვერილია:

- წინ და უკან - 1 მეტრზე მეტად
- გვერდებზე - 0,4 მეტრზე მეტად

მსხვილგაბარითიანად ითვლება შემთხვევა, როდესაც ტვირთი - წინ და უკან - 2 მეტრზე მეტად გადმოცდა.

- მგზავრების გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ჯდომით მდგომარეობაში.
- უსინათლო და მოხუც ქვეითს - ვუთმობთ ნებისმიერ შემთხვევაში.

სავალი ნაწილის კიდესთან მოძრაობა:

- ინვალიდისათვის - ნებისმიერ შემთხვევაშია შესაძლებელი
- „არა-ინვალიდისათვის“ - მხოლოდ დიდი ტვირთის გადატანისას, რაც ტროტუარზე სიარულის შემთხვევაში, დააბრკოლებდა ქვეითებს.

გამყოფი ზოლი არის - კონსტრუქციულად გამოყოფილი გზის ელემენტი, რომელზე მოძრაობაც ქვეითისათვის ნებისმიერ შემთხვევაში - დაუშვებელია.

12 - წლამდე ბავშვის გადაყვანა შესაძლებელია კვადროციკლით ან ტრიციკლით, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე არ აღემატება - 25 კმ/სთ-ს!

❖ ველოსიპედი, მოპედი და პირუტყვის გადარეკვა (27)

გზებზე პირუტყვის გადარეკვა ხორციელდება მხოლოდ დღე-ღამის ნათელ დროს

გასწრების გასაადვილებლად პირუტყვის კოლონებსა და ველოსიპედის კოლონებს შორის დაშორება უნდა იყოს 80-100-მეტრი.

სავალ ნაწილზე პირუტყვის გადაადგილება ხდება მხოლოდ - **1 რიგად**.

სხვა შემთხვევაში, ისინი იყოფიან - 10 სასაპალნე და 5 საჭაპანო ტრანსპორტით შემდგარ კოლონებად.

14 წლიდან: ველოსიპედი, ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავი

16 წლიდან: მოპედი, მეხრე

- ტროტუარზე მოძრაობის უფლება მხოლოდ ველოსიპედის მძროლს აქვს.
- არ იკრძალება ველოსიპედის ან მოპედის ერთი ხელით მართვა.
- ყველა ტრანსპორტის ყველა თვალი (ბორბალი) - აუცილებელია ეხებოდეს ბედაპირს.



❖ სამედიცინო დახმარება (29)

ბუშტები არ გაუფხსნათ! (პასუხში როცა დაინახავთ, ის არის სწორი)

გვაქვს ორი ტიპის სისხლდენა:

1. **არტერიული** - მოედინება **პულსირებული** ნაკადით
2. **ვენური** - **სუსტი** ნაკადით

დაშავებულის ტრანსპორტირებისთვის გვაქვს 3 ვარიანტი:

1. **მჯდომარე** - თუ დაზიანებულია გულ-მკერდის ძვლები, ლავინის ძვლები
2. **ზურგზე** - ხერხემალი, ბარძაყი, მენჯი....
3. **გვერდზე** - თავის ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში / გამჭოლი ჭრილობა

მუცელში ჭრილობის დროს, ტრანსპორტირება ხორციელდება **ზურგზე დანოლილ** მდგომარეობაში, მუხლებში **მოხრილი ფეხებით**.

ცხვირიდან სისხლდენისას, თავს ვანევენებთ მკერდისკენ.

გოგირდის დამწვრობისას - ყველაზე ეფექტურია წყლის უხვი რაოდენობით გადაერეცხოს...

ტრამვეული შოკის დროს - დავალევინოთ თბილი სასმელი

გულის ნასვლის შემთხვევაში - ფეხები წამოვუწიოთ

პულსაციის შემოწმება - ყოველ 2-წუთში ერთხელ.

თუ დაზიანდა ზურგის ტვინი, ეს იმას ნიშნავს, რომ დაშავებული **ველარ ამოძრავებს კიდურებს**.

თუ შევითვამია, რომ დაშავებულს **არ დაზიანებია ზურგის ტვინი**, მაგრამ აწუხებს ხერხემალი, და რა შეიძლება იყოს სიმპტომი? პასუხში, რა თქმა უნდა, **გამოვრიცხავთ კიდურების ატროფიას**.

არტერიული სისხლდენისას - სიცოცხლისათვის აუცილებელი რაოდენობის სისხლი - 10-15 წუთში დაიკარგება.

უგონო მდგომარეობაში მყოფი დაშავებულისათვის, დაუშვებელია რაიმე სახის **პრეპარატის მიცემა**.



ლახტი

დაშავებულს აუცილებელია დაედოს **ჭრილობის ზემოთ**. აგრეთვე აუცილებელია ლახტის დადების **ზუსტი დროის აღნიშვნა**. (მაგალითად, მოტეხილობა გვაქვს წვივზე, პირველადი დახმარების აღმოჩენისას, ლახტი დაშავებულს უნდა დაედოს ბარძაყზე, რადგან წვივი არის 2-ძვლიანი ადგილი, ბარძაყი 1-ძვლიანი).

არტაშანი

არის ჯობი, რომელსაც იყენებენ ფეხის ან რაიმე კიდურის მოტეხილობის დროს. მაგალითად, ფეხის მოტეხილობისას დაშავებული ფეხზე ორივე მხრიდან უნდა დავადოთ არტაშანი და გადავუხვიოთ ბინტით. თუ არ გვაქვს ადგილზე არტაშანის დასამზადებელი მასალა, მაშინ დაშავებულ და ჯანსაღ ფეხს გადავუხვევთ ბინტის სახვევით.

თუ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაშავებულს დაზიანებული აქვს **კისერი ან ხერხემალი** ან არსებობს ეჭვი მათი დაზიანების შესახებ, არ შეიძლება: როგორც დაშავებულისთვის თავისა და კისრის მოძრაობა, ასევე მის ჭრილობაზე შეხება, ძვლის ნამსხვრევების ჩასწორება და უცხო სხეულების მოცილება.

იოდის ხსნარი - არ შეიძლება მოესხას ჭრილობაზე. ყოველთვის გამორიცხე მსგავსი შინაარსის პასუხი. იოდის ხსნარი გამოიყენება ჭრილობის გარშემო ნაპირების დასამუშავებლად.

თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ **მგზავრობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს** დაშავებულს, მაშინ მძლოლს არ წარმოეჭმნება ავარიის შედეგად **დაშავებულის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის ვალდებულება**.

თუ **თვალზე აღენიშნება ჭრილობა**, დავანვინოთ ზურგზე და წამოვუწიოთ თავი წინ. დაზიანებულ თვალზე დავადოთ სუფთა საფენი



❖ ადმინისტრაციული კანონი (31 და 34)

გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების გავლის დამადასტურებელ ფირნიშს გასცემს **ტესტირების ცენტრი**.

თუ არსებობს მისი ან მის მიერ დაშავებული საავამდყოფოში გადაყვანის **გადაუდებელი აუცილებლობა**, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია ავარიაში მონაწილე მძღოლს მიატოვოს შემთხვევის ადგილი. ამის შემდეგ, **იგი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს უკან**. სხვა შემთხვევაში, იგი ვალდებულია დარჩეს შემთხვევის ადგილზე და დაელოდოს უფლებამოსილი პირის მისვლას. აგრეთვე, ვალდებულია **მომხდარის შესახებ აცნობოს შსს-ს**.

საგზაო ავარიის შემთხვევისას, **თუ არავინ დაშავებულა**, ავარიაში მონაწილე მძღოლებს უფლება აქვთ **შეადგინონ სქემა** მომხდარის შესახებ და **მივიდნენ უახლოეს საპატრულო პოლიციაში** (მათ ეკრძალებათ ბარალის ანაზღაურებაზე რაიმე სახით შეთანხმება).

საბაჟოზე ბედამხედველობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი **საგადასახადო ორგანო**. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე **შემოტანის დღიდან გაფორმების დასრულებამდე** (საქონელის განბაჟებამდე, გადაფორმებამდე), საქონელი ექვემდებარება საბაჟო ბედამხედველობას.

საგადასახადო ვალდებულებებისათვის დროის **ათვლა** იწყება **დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან** (და არა საბღვარზე შემოტანის დღიდან).

თუ საქონელი ჩამოგვერთვა (მაგალითად, განბაჟების ვადის გადაცილების, დაუცველობის გამო), ჩამორთმეული საქონელი შეიძლება განადგურდეს, გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაში, გაიყიდოს, განხორციელდეს მისი რეალიზაცია და ა.შ.)

თუ საბაჟო **ბედამხედველობაში მყოფი საქონელი განადგურდა** ან დაზიანდა (ანუ განსაბაჟებელი მანქანა ან ნებისმიერი სხვა ქონება), დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უახლოეს საგადასახადო ორგანოს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონელისათვის, რომლის შემოტანა ან გატანა არ არის აკრძალული.

✓ **მინიშნება!** - თუ პასუხებში წერია:

- დააპატიმროს
- სიტყვიერი გაფრთხილება

ეს პასუხები ყოველთვის არასწორია.



ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მანქანის მართვა პირველჯერზე გამოიწვევს **6-თვით მართვის უფლების შეჩერებას**. აკრძალვის პერიოდში მანქანის მართვა განმეორებით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, გამოიწვევს აკრძალვის **1-წლით გაზრდას და 700-ლარით** დაჯარიმებას.

წინასწარ განზრახვით, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის მანქანის სამართავად გადაცემა გამოიწვევს მანქანის მფლობელის დაჯარიმებას - **1000 ლარის** ოდენობით.

იგივეს ჩადენა განმეორებით - იმავე წელში, გამოიწვევს მანქანის მფლობელის დაჯარიმებას - **1500 ლარის** ოდენობით.

პირი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, როცა მას შეჩერებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება **სხვა*** დარღვევისათვის (მაგალითად, ჯარიმის გადაცილების გამო მიღებული აკრძალვა), გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის** ოდენობით.

ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მანქანის მართვა გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების **3 წლით** შეჩერებას.

წინასწარ განზრახვით, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის მანქანის სამართავად გადაცემა გამოიწვევს მანქანის მფლობელის დაჯარიმებას - **1000 ლარის** ოდენობით.

ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობად მიიჩნევა მძღოლის სისხლში **0,3 პრომილეზე** მეტი ოდენობით ეთანოლის შემცველობა.

15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის გადაჭარბების შედეგად, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი **დაზიანება**, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.



| | |
|------|--|
| 30 | მობილური კომუნიკაცია |
| 20 | საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნის დარღვევა (მაგ., "გაჩერება აკრძალულია" ნიშნის დარღვევა) |
| 40 | ღველი და ბავშვები |
| 50 | <ol style="list-style-type: none"> 1. სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით 2. განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების დარღვევა 3. საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა (ეკისრება მძღოლს ან საწარმოს) 4. გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა |
| 100 | სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით |
| 150 | გაუქმებული მართვის მოწმობით უკანონოდ სარგებლობა |
| 250 | ავარიის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან მანქანის გადაადგილება |
| 300 | <ol style="list-style-type: none"> 1. გაჩერების შესახებ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა 2. სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარის შედეგად, რასაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა |
| 500 | <ol style="list-style-type: none"> 1. სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა* დარღვევისათვის 2. სიჩქარის გადაჭარბების გამო გამოწვეული საავარიო სიტუაცია, რასაც მოჰყვა სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება. |
| 700 | ალკოჰოლური სიმთვრალის გამო აკრძალვის პერიოდში მანქანის მართვა განმეორებით კვლავ სიმთვრალის მდგომარეობაში, გამოიწვევს აკრძალვის 1 წლით გაზრდას და 700 ლარით დაჯარიმებას. |
| 1000 | <ol style="list-style-type: none"> 1. ჯარიმდება მანქანის მფლობელი, თუ განზრახულად ათხოვს მანქანა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირს 2. სხვა აკრძალვის დროს, მანქანის მართვა სიმთვრალის მდგომარეობაში |
| 1500 | ჯარიმდება მანქანის მფლობელი, თუ ერთი წლის განმავლობაში განმეორებით გადასცა მანქანა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ პირს |

სხვა* - სხვა დარღვევაში იგულისხმება ნებისმიერი მიზეზით მართვის უფლების აკრძალვა, გარდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული სიმთვრალის გამო აკრძალვისა.

